ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №261

2021 წლის 23 ივნისი

ქ. რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 06 02 15) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონს მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 06 02 15) განხორციელების წესი“ (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **დავით რეხვიაშვილი**
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 06 02 15) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 06 02 15) განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე და მცხოვრები სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელების ღონისძიებას.

1^1 . გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

[1^2. გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება ასევე სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობენ რუსთავში და ცხოვრების ფაქტი დასტურდება სხვადასხვა ოფიციალური წყაროთი. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრიდან დადგენილება №40 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №105 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბავშვი – 18 წლამდე არასრულწლოვანი;

ბ) ოჯახი – საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან, დისგან, ძმისგან ან/და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისაგან;

[ბ) ოჯახი – საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან, დისგან, ძმისგან ან/და ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირისაგან; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

გ) მშობელი – ბავშვის დედა ან/და მამა;

დ) კანონიერი წარმომადგენელი- მშობელი ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ალტერნატიული ზრუნვის მიზნით დაწესებული პირი, რომელიც იღებს ბავშვის შესახებ გადაწყვეტილებას მისი სრულყოფილი მონაწილეობით, მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ასევე განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში.

ე) რეინტეგრაცია – სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნება;

[ე) რეინტეგრაცია – სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნება; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ვ) რეინტეგრირებული ბავშვი – ბავშვი, რომელიც სპეციალიზებული დაწესებულებიდან დაბრუნდა/განთავსდა ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან;

[ვ) რეინტეგრირებული ბავშვი – ბავშვი, რომელიც სახელმწიფო ზრუნვიდან დაბრუნდა/განთავსდა ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ) – პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას, სხვებთან თანაბარ პირობებში;

[ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ) – პირი, რომელსაც აღნიშნული სტატუსი განუსაზღვრა შესაბამისმა ორგანომ და აქვს ფორმა - NIV-50; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

თ) მარტოხელა მშობელი – მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი;

ი) სოციალური მუშაკი – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ბავშვთა დაცვის-მხარდაჭერის და ახალგაზრდული განვითარების განყოფილების სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი.

კ) დაფინანსება – „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 15) ქვეპროგრამის განხორციელების წესით განხორციელებული დაფინანსება;

[ლ) ოფიციალური წყარო – სახელმწიფო ან/და კერძო უწყების მიერ გაცემული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება პირის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტი. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №105 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მიზანი და ამოცანა

1. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა, ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების სოციალური დახმარება და გაძლიერება, მათთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით.

2. სოციალური დახმარების პროცესი მოიცავს, უკიდურესად მძიმე საბინაო პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გამოვლენას, შეფასებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების ნივთების შეძენით.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №290 - ვებგვერდი, 26.11.2021წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრიდან დადგენილება №40 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

მუხლი 4. ქვეპროგრამის მოსარგებლენი და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა

1. ქვეპროგრამის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვიანი ოჯახები თუ ერთდროულად აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ბავშვ(ებ)ი, რომელსაც აქვს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში აქტიური რეგისტრაცია ან მუდმივი ბინადრობის ნებართვა.

ბ) ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულია ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლით (წყვეტის შემთხვევაში, რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

გ) (ამოღებულია - 24.11.2022, №40)

2. უკიდურესად მძიმე სოციალური პირობები იდენტიფიცირდება სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, ხოლო დახმარების მიღებაზე თანხმობა დასტურდება ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის /ბავშვზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

3. თითოეულ ოჯახზე საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების ნივთების შეძენა ხორციელდება წელიწადში ერთხელ.

4. ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან ერთი ოჯახისათვის საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების ნივთების ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №290 - ვებგვერდი, 26.11.2021წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრიდან დადგენილება №40 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

მუხლი 5. განცხადების მიღების წესი

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს და წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) ბავშვის დაბადების/პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

დ) კანონიერი წარმომადგენლის ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი); ბავშვ(ებ)ის აქტიური რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში);

ე) სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება ბავშვის სახელმწიფოს ზრუნვის სისტემიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება (რეინტეგრაცია) (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება ბენეფიციარის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აქტიური ყოფნა. (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) შშმპ-ს სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტის ასლი-ფორმა NIV-50 (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) მუდმივი ბინადრობის მოწმობა (არსებობის შემთხვევაში);

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) ბავშვის ოჯახიდან გაყვანის რისკის დროს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასება, ბავშვის საბინაო პირობების შესახებ;

ლ) მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მ) (ამოღებულია - 24.11.2022, №40);

ნ) ქვეპროგრამით მოსარგებლის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი გაცემული შესაბამისი ბანკის მიერ კანონით დადგენილი წესით;

[ო) ოფიციალური წყაროს მიერ გაცემული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრიდან დადგენილება №40 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №105 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.

მუხლი 6. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობას ადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური.

2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ აქტის მომზადების უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს.

[2) (ამოღებულია - 21.12.2023, №105); ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

3. სოციალური მუშაკი, ოჯახში ვიზიტის შედეგად განსაზღვრავს, პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების გამოყენების მიზანშეწონილობას.

4. განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის ამ წესთან შესაბამისობის დადგენის და სოციალური მუშაკის შესაბამისი დასკვნის წარდგენის საფუძველზე, ქალაქ რუსთავის

მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი აქტით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციას ქვეპროგრამით სარგებლობის შესაძლებლობის თაობაზე. უპირატესობას ანიჭებს ქვემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტებს, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ოჯახში იმყოფება 1 (ერთი) ან მეტი შშმ სტატუსის მქონე ბავშვი;

ბ) ოჯახში ცხოვრობს 3 (სამი) ან მეტი ბავშვი;

გ) მშობელს/მშობლებს განსაზღვრული აქვთ შშმ პირის სტატუსი;

დ) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ არემატება 100 000-ს*;*

[დ) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ე) მარტოხელა მშობელი (სტატუსის მქონე/სტატუსის გარეშე; მზრუნველი).

5. მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი კატეგორიებიდან, ერთსა და იმავე პრიორიტეტული კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო-საკონსულტაციო საბჭო.

6. ქვეპროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქვეპროგრამის სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებლის მიერ განმცხადებელს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6[1]. ქვეპროგრამით მოსარგებლის საცხოვრებელ ფართში სარემონტო სამუშაოების განხორციელების შესახებ დადებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახური ამზადებს დეფექტურ აქტს და ხარჯთაღრიცხვას.

[6[1]) (ამოღებულია - 21.12.2023, №105); ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

7. ქვეპროგრამის განმახორციელებელს აქვს უფლება გადაამოწმოს პროგრამით მოსარგებლე პირის მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ელექტრონულ რეესტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 ივლისის დადგენილება №269 - ვებგვერდი, 23.07.2021წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრიდან დადგენილება №40 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №105 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.

მუხლი 7. ქვეპროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის შესაბამისი კალენდარული წლის ბიუჯეტით.

2. (ამოღებულია - 24.11.2022, №40).

3. ქვეპროგრამით მოსარგებლის საცხოვრებელ ფართში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების პროცესის მონიტორინგსა და მიღება-ჩაბარებას ანხორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური.

4. ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური: ინფრასტრუქტურული მიმართულებით განხორციელებული სარემონტო სამუშაოების

შემთხვევაში - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ხოლო, საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის შემთხვევაში - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრიდან დადგენილება №40 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

[**მუხლი 7. ქვეპროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 06 02 15) ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში.

2. ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №105 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.